საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 08

03 01 2018წ.

ქ. თბილისი

„მასწავლებლის განათლების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის მენეჯერის 2017 წლის 29 დეკემბრის №1598544 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ (დანართი №3) პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „მასწავლებლის განათლების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი — თამარ მახარაშვილი

განათლების მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი

საბჭოს სხდომის (18. 12. 2017) N03 ოქმის დანართი N 02

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებლის განათლება

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია

<table>
<tr><td rowspan="10">დარგობრივი მახასიათებელი</td><td>დასახელება</td><td colspan="4">მასწავლებლის განათლება
Teacher Education</td></tr>
<tr><td>სარეგისტრაციო ნომერი</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td>დამტკიცების თარიღი</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td>მოქმედების ვადა</td><td colspan="4">7 წელი ან საჭიროებისამებრ</td></tr>
<tr><td>დარგი/პროფესია</td><td colspan="4">პედაგოგიკა, რეგულირებადი</td></tr>
<tr><td rowspan="2">პროფესიის დასახელება</td><td>1</td><td>დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი
Primary School Teachers</td><td>ISCO-08-ის კოდი:</td><td>2341</td></tr>
<tr><td>2</td><td>საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი
Secondary Education Teachers</td><td>ISCO-08-ის კოდი:</td><td>2330</td></tr>
<tr><td rowspan="2">სწავლის სფერო</td><td colspan="2">განათლება (მასწავლებლის განათლება) /Education (Teachers Education)</td><td>ISCED-F-ის კოდი:</td><td>011</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
Teacher training with subject specialization</td><td>ISCED-F-ის კოდი:</td><td>0114</td></tr>
<tr><td>განათლების საფეხური

კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე</td><td colspan="2">უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური

კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონე</td><td>მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი:</td><td>განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების საფეხურის/საგნის/საგანთა ჯგუფის მითითებით), კოდი: 03
Master of Education (indication of the level of secondary education / group/groups of subjects)</td></tr>
</table>

შენიშვნა* : პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დარგობრივი მახასიათებლის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი განათლების და საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლით მისაღწევ კომპეტენციებს, რომლებიც განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და გულისხმობს პროფესიის, შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკის გაცნობიერებას, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს, უფროსი მასწავლებლის ვალდებულებების და პასუხისმგებლობების შესრულების შესაძლებლობას, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით პედაგოგიური სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზს, პრობლემის მიზეზების, შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერებასა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერით, ზეპირ კომუნიკაციას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, პროფესიულ განვითარებას და სხვ.

წინამდებარე დოკუმენტის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმის, მიზანია ხელი შეუწყოს:

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მობილობას, კონკურენტუნარიანობას და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას (სათანადო კრედიტქულების მოპოვებითა და პროფესიული განვითარებით შემდგომი საფეხურის მასწავლებლის სტატუსის მოპოვებას).

დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები

- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია;
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- ეროვნული სასწავლო გეგმა;
- ბოლონიის დეკლარაცია;
- ინჩეონის დეკლარაცია.

დარგის აღწერა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელი ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობა საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, გააცნობიეროს თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის გამოიყენოს სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიები. უნდა იცნობდეს სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მიღწევები და საკუთარი სასკოლო პრაქტიკა; ითანამშრომლოს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან თითოეული მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისათვის, პრობლემის ერთობლივად გადაჭრისა და საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. იყოს რეფლექსიური, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში, ფლობდეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეეძლოს მათი სწავლების პროცესში გამოყენება, ორიენტირებული იყოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

1. დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები:

მასწავლებლის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, კურსდამთავრებულებს, რომელთა კვალიფიკაცია უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად უფლება ექნებათ, იმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესაბამისი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლად, ასევე, არაფორმალურ განათლებაში.

2. სპეციალური მოთხოვნები:

მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის სპეციალური დამატებითი მოთხოვნები არ არსებობს.

1. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მოცულობა, ECTS	min 300 კრედიტი	სტრუქტურა	თავისუფალი კომპონენტების მოდული	არაუმეტეს 60 ECTS	მათ შორის	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები
			სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის:			
			ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული	არანაკლებ 180 ECTS	მათ შორის	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები
			სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული	არანაკლებ 60 ECTS	მათ შორის	• დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი პრაქტიკა; • სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

2. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა)

მოცულობა, ECTS	min 300 კრედიტი	სტრუქტურა	თავისუფალი კომპონენტების მოდული	არაუმეტეს 60 ECTS	მათ შორის	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები
			სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის:			
			საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდული	არანაკლებ 120 ECTS	მათ შორის	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები
			მასწავლებლის მომზადების მოდული	არანაკლებ 60 ECTS	მათ შორის	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები
			სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული	არანაკლებ 60 ECTS	მათ შორის	• დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი პრაქტიკა; • სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები - არ არსებობს.

შენიშვნა: თავისუფალ კომპონენტში შემავალი კურსები უნდა მოხმარდეს მასწავლებლის ტრანსფერული/ზოგადი კომპეტენციების განვითარებასა და გაღრმავებული სპეციალიზებული კურსების სწავლებას.

2. დარგობრივი კომპეტენციები

დარგის ასპექტი	კომპეტენცია		კომპეტენციის	
	ცოდნა-გააზრება	პრაქტიკული/სხვ. უნარები	მიღწევის სპეციფიკური მეთოდები	დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები
I. კომპეტენციის სფერო - პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება				
1.	იცნობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს; იცის, როგორ შექმნას მოსწავლისთვის მამოტივირებელი სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური; იცის როგორ შექმნას ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგაწყობილი სასწავლო გარემო.	შეუძლია შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს კლასში თითოეული მოსწავლის ინტეგრაციას და მათ მოტივაციას; შეუძლია უსაფრთხო თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალური-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის; შეუძლია სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	შემუშავებული საგაკვეთილო გეგმა დიფერენცირებული დავალებებით; დაგეგმილი არასაგაკვეთილო ან საგაკვეთილო აქტივობა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში განსხვავებულობის/კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას და დაეხმარება სხვადასხვა სტერეოტიპული დამოკიდებულების გამკლავებაში.
2.	იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები.	შეუძლია კლასის მართვა, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება; შეუძლია მოსწავლეებთან, მშობელთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის; შეუძლია მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით, მათი ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	სასკოლო პრაქტიკის პორტფოლიო, რომელშიც რეფლექსიაში აღწერილია სტუდენტის მიერ გამოყენებული კლასის მართვისა და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები, გაანალიზებული და შეფასებულია მათი ეფექტიანობა.
3.	იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.	შეუძლია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა; შეუძლია მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან) ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა გააზრებულად სწავლებისთვის.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	აქტივობა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე.
	დამოკიდებულებები და ღირებულებები: *აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო/კონფლიქტებისგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისთვის; აცნობიერებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის.*			

II. კომპეტენციის სფერო - მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება				
2.1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა				
1.	იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას; იცის ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტებზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.	შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება; შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით დაგეგმვისას შეუძლია შიდასაგნობრივი და საგანთა შორისი კავშირების გათვალისწინება; შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით შეუძლია სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	ზგემ-ზე და ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე, სსსმ მოსწავლის აქტივობების გათვალისწინებით.
2.	იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენება.	შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები სასწავლო გეგმის მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით; შეუძლია მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	სტუდენტის შექმნილი სასწავლო რესურსი, ინსტრუქცია რესურსის სარგებლიანობასა და მოხმარებაზე ასახული გაკვეთილის გეგმაში; მიზნების შესაბამისად მოძიებული და შერჩეული დამხმარე ბეჭდური და ელექტრონული რესურსები ასახული გაკვეთილის გეგმაში.
3.	იცის პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და წარმართვისას.	შეუძლია პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში; შეუძლია მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების ეფექტიანად შერჩევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათალისწინებით.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	განხილული შემთხვევები (ე.წ. ქეისები), რომლებშიც ჩანს პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის შესაბამისი გამოყენება. ასევე, სასკოლო პრაქტიკის რეფლექსია, რომელშიც გაანალიზებულია, როგორ მოახდინა სტუდენტმა თეორიების ცოდნის გადატანა პრაქტიკაში.
4.	იცნობს მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს.	შეუძლია მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	გაკვეთილის გეგმა / არასაგაკვეთილო აქტივობა.
5.	იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენების პერსპექტივები;	შეუძლია, მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	გაკვეთილის გეგმა, სასკოლო პრაქტიკის რეფლექსია.

6.	იცის მდგრადი განვითარების მიზნები და პრინციპები; აცნობიერებს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში.	სწავლების პროცესში შეუძლია მდგრადი განვითარების პრინციპების სასწავლო თემებში ინტეგრირება.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	შექმნილი აქტივობები და დაგეგმილი პროექტები სასკოლო პრაქტიკის პროცესსა ან სააუდიტორიო მეცადინეობის ფარგლებში.
7.	აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისათვის.	შეუძლია კლასგარეშე საქმიანობების (საკლუბო, საწრეო, სასწავლო და სოციალური პროექტების) დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	სტუდენტის მიერ დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კლასგარეშე ღონისძიებები სასკოლო პრაქტიკის პროცესსა ან სააუდიტორიო მეცადინეობის ფარგლებში.
2.2. სასწავლო პროცესის შეფასება				
8.	იცის მოსწავლის შეფასება (მ.შ. სსსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით; იცის შეფასების ტიპები, პრინციპები და მეთოდები. იცის როგორ გაანალიზოს შეფასების შედეგები.	შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად; შეუძლია განმავითრებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება	გაკვეთილის გეგმებში წარმოგენილი შეფასების მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის შეფასების სპეციფიკას სასკოლო პრაქტიკის პროცესსა ან სააუდიტორიო მეცადინეობის ფარგლებში; პრაქტიკის/სააუდიტორიო სწავლების ფარგლებში მოსწავლის ნაშრომზე გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი.
9.	იცის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბიკების შედგენის ძირითადი პრინციპები.	შეუძლია შეფასების სქემების და რუბრიკების შედგენა, მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული სწავლება.	სტუდენტის შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მათზე დაყრდნობით შეფასებული მოსწავლეთა ნაშრომები.
დამოკიდებულებები და ღირებულებები: *აცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია; მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება; სწამს, რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მის პიროვნულ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში.*				
III. კომპეტენციის სფერო - პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა				
1.	იცის პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპები, ფორმები და გზები.	თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარე-	• თეორიული სწავლება; • სასკოლო პრაქტიკა	სასკოლო პრაქტიკის პროცესში თვითშეფასების, კოლეგებისაგან, მენტორისაგან, ლექტორისაგან, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საკუთარი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების ორიენტირების დაგეგმვა.

		ბის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.		
2.	იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს.	აქვს უნარი, მოიძიოს და გამოიყენოს განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნა, ტენდენციები და თანამედროვე კვლევები საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისთვის.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება • კვლევა	სტუდენტის კვლევით ნაშრომში გამოყენებული თანამედროვე კვლევები.
3.	იცნობს განათლების მეცნიერების კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს.	შეუძლია კველევების დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება, განხორციელება ან/და მოსწავლეების კვლევით პროექტებში ჩართვა.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება • კვლევა	სტუდენტის მიერ წარმოებული კვლევის ანგარიში/მოსწავლეებისთვის დაგეგმილი კვლევითი პროექტი.
4.	იცის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, წარმართვის თავისებურებები და აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.	სასკოლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეუძლია პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირება, ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება.	• თეორიული სწავლება • პრაქტიკული სწავლება • პრაქტიკის კვლევა	სტუდენტის მიერ წარმოებული კვლევის ანგარიშები; სამაგისტრო ნაშრომი.
	დამოკიდებულებები და ღირებულებები: *ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე; აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას.*			

3. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი

3.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

დარგის ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
სპეციალობის სასწავლო კურსები	დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, შესაბამისი მიმართულებით; დოქტორანტი, სწავლების გამოცდილებით უმაღლეს ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილებით.
სასკოლო პრაქტიკა	სასკოლო პრაქტიკას ახორციელებს მოქმედი მასწავლებელი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“.

3.2. მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

ასპექტი	სპეციალური მატერიალური რესურსი
საბუნებისმეტყველო მიმართულებები	საუნივერსიტეტო ლაბორატორიები
სახელოვნებო და სამუსიკო მიმართულებები	სამხატვრო/სამუსიკო სტუდიები და შესაბამისი აღჭურვილობა
სპორტის მიმართულები	სპორტული დარბაზები და შესაბამისი აღჭურვილობა
შესაბამისი მიმართულებები	პარტნიორი მუზეუმები და დაცული ტერიტორიები
სასკოლო პრაქტიკა	პარტნიორი სკოლები
შენიშვნა: ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ან იმ დაწესებულების/ორგანიზაციის ეკვივალენტური მატერიალური რესურსი, რომელთანაც საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.	

4. დამატებითი ინფორმაცია

1. წინამდებარე დარგობრივ მახასიათებლებში მითითებულია მასწავლებლის პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნები;
2. წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი ასახავს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის ზოგად მახასიათებლებს;
3. საგნობრივი კომპეტენციები განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საგნობრივი ნაწილით;
4. სასკოლო პრაქტიკა სწავლის პერიოდში შესაძლებელია იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული და/ან დამოუკიდებლად განხორციელებული;
5. დაწყებითი საფეხურის პროგრამა უნდა მოიცავდეს:
   ა) I-IV კლასების ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ კომპეტენციებს, დამატებით V-VI კლასის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, 3-6 საზოგადოებრივი მეცნიერებების ერთ-ერთს, ორს ან ყველა საგნის კომპეტენციებს;
   ბ) I-VI კლასის ქართულის, ან მათემატიკის, ან ბუნებისმეტყველების, ან 3-6 საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კომპეტენციას.
6. საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელს აქვს კომპეტენცია ასწავლოს დაწყებითი საფეხურის V-VI კლასების შესაბამისი საგანი/საგნები;

7. სასკოლო პრაქტიკაზე სტუდენტის მიერ გატარებული საკონტაქტო საათები არ უნდა იყოს სასკოლო პრაქტიკის კრედიტის შესაბამისი საერთო საათების რაოდენობის 1/3-ზე ნაკლები;
8. დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები შეიძლება იყოს შესრულებული როგორც სასკოლო პრაქტიკის, ისე სააუდიტორიო მუშაობის ფარგლებში;
9. განათლების ინკლუზიურობა გულისხმობს, რომ მასწავლებელს შეუძლია თითოეული მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის განათლება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების და შესაძლებლობის გათვალისწინებით;
10. ციფრული მოქალაქეობა გულისხმობს სოციალური, ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და ისტ-ის პასუხისმგებლობით გამოყენების სწავლებას
11. ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციებია:
    - ანალიზისა და სინთეზის უნარი - შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. შეუძლია ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა;
    - ინფორმაციის მართვა - შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი;
    - პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება - დამოუკიდებლად შეუძლია კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
    - ჯგუფში მუშაობის უნარი - აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე - ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა;
    - კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე - აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა, თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა;
    - სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი - შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი;
    - ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი - კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი;
    - დამოუკიდებლად მუშაობის უნარი - აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. პასუხს აგებს შესრულებულ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება და კრიტიკა.

III. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	მანანა რატიანი	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	დირექტორის მოადგილე
2.	ეკატერინე დგებუაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი
3.	ქეთევან ჭკუასელი	სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი
4.	ზაქარია ქიტიაშვილი	სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
5.	სოფიო ლობჟანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებატა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
6.	ეკატერინე გიგაშვილი	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
7.	მერაბ მაღრაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
8.	ნინო ნახუცრიშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
9.	ირმა ქურდაძე	სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახემწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი
10.	თამარ შინჯიაშვილი	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
11.	თეა გოგოტიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
12.	ქეთევან გოგეიშვილი	ქალაქ თბილისის 165-ე საჯარო სკოლა	დაწყებითი კლასების მასწავლებელი
13.	ნინო ბეგლარაშვილი	ქალაქ თბილისის 156-ე საჯარო სკოლა	სკოლის დირექტორი
14.	თამარ ფოცხვერაშვილი	ჟიული შარტავას სახელობის ქალქ რუსთავის მე-4 საჯარო სკოლა	სკოლის დირექტორის მოადგილე
15.	ნიკოლოზ სილაგაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი	ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი
16.	ნინო ჭიაბრიშვილი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ–პროფესორი
17.	ნინო მოდებაძე	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
18.	შორენა ძამუკაშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
19.	ლელა თავდგირიძე	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
20.	დავით მალაზონია	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი